პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 17 (12833) | სამშაბათი, 21 იანვარი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

29 იანვარს გაიხსნება საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა

რით ეგებებით ყრილობას?

ჩქაროსნული დნობა

რუსთავი. (საკ. კორ.). № 1 ღუმელს კომუნისტური შრომის სახელობის სახელთან ერთად მეორე ასევე საპატიო წოდება აქვს. იგი სკკპ XXII ყრილობის სახელს ატარებს. ერთიც და მეორეც მოპოვებულ იქნა ენერგიული, შემოქმედებითი შრომით.

— რა არის ყველაზე დამახასიათებელი ამ ღუმელის მომსახურე ბრიგადებისათვის?

ამ კითხვაზე ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გ. ბერიკაშვილი გიპასუხებთ:

— ჩქაროსნული დნობა.

და მართლაც, ახალი სამეურნეო წელი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 1 ღუმელის მომსახურე ბრიგადებმა, რომლებსაც ა. ფანცულაია, ი. ტაბატაძე, ზ. ყველაშვილი და თვით გ. ბერიკაშვილი თავეკაცობენ, ახალი ჩქაროსნული დნობებით დაიწყეს. მაგალითად, გუშინ ა. ფანცულაიამ დნობა 5 საათსა და 50 წუთში განახორციელა, სხვა ბრიგადებმა — 6-6,5 საათში. სწორედ ამან განაპირობა, რომ მათ იანვრის 15 დღეში გეგმის ზევით გამოადნეს 200 ტონაზე მეტი ფოლადი.

არ დაუშვან ტემპების შენელება, ყოველი ნადნობი იყოს ჩქაროსნული — ასეთია გადაწყვეტილება.

ნოვატორის მეთოდი

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). შახტებში სულ უფრო ფართოდ ინერგება ნოვატორი მნგრეველის შ. დაღუნდარიძის შპურების ჭრის მეთოდი. სანგრევში ჩვეულებრივად საჭირო 30-32 შპურის ნაცვლად ნოვატორი მეშახტე ჭრის 22-24 შპურს.

ᲞᲐᲯᲐᲙᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

კარგი შრომითი მაჩვენებლებით დაიწყეს ახალი წელი ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებმა. იანვრის პირველ დეკადაში სახელმწიფოს მივყიდეთ 105 ტონა ხორცი, რაც შარშანდელ თითქმის ნახევარი წლის გეგმას აღემატება. ქების ღირსნი არიან მეცხოველეები გ. გულვერდაშვილი, კ. ბეღელური, ვ. გონგაძე, გ. წიკლაური, ს. შიხიაშვილი და ს. ჩოხელი, რომლებმაც 103 სული მსხვილფეხა პირუტყვი გაასუქეს და წლის დასაწყისშივე სამშობლოს გამარჯვება უპატაჟეს.

შ. ბექაური.
თეთრი წყაროს რაიონის ჭორჭაშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲛᲔᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი ახალ წარმატებებს აღწევს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის ალსანიშნავ შეჯიბრებაში. იანვრის პირველი ნახევრის დავალება აქ ვადამდე შესრულეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 14.000 მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების დავალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას უსწრებს მსუბუქი ფეხსაცმლის შემკერავი საამქრო, რომელსაც ალ. კოხრეიძე უძღვება. საამქროს კოლექტივმა ნახევარ თვეში გეგმის ზევით გამოუშვა 1.300 წყვილი ფეხსაცმელი და პირველი ხარისხის პროდუქციის დამზადება 92 პროცენტამდე აიყვანა.

ახალი წლის პირველ დღეებში კომბინატს ახალი ტექნიკა შეემატა. დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ტყავის მექანიკური ოვისებების შემმოწმებელი მანქანა.

ფაბრიკის კოლექტივის გადწყვეტილებაა თვის დავალება ვადამდე შესასრულოს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ქარხნის საწყობში შემოიტანეს 270 ცალი სარეცხი მანქანა. ახალ საღებავწასმული მანქანები თვალსაჩინოდ ელვარებენ. ეს საწარმოს პირველი პროდუქციაა, ახალი წლის პირველი მანქანებია, რომლებსაც სულ ცოტა ხანში ბაზრურ მისაცემენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარისაკენ.

შეადწლეულის მეექვსე წელს დიდი ამოცანები დგას ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივის წინაშე. საწარმომ უნდა გამოუშვას 50 ათასი ცალი სარეცხი მანქანა და 6 ათასი საყოფაცხოვრებო ცენტრიფუგა, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის ალსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება სულ უფრო ფართოვდება. 120-150 პროცენტით ასრულებენ დღიურ გეგმებს მოწრნაგე ზეინკლები, ელექტრომექანიკოსები და მონტაჟორებენტები მ. რუსია, ვ. ყუნჭულია, პ. მეფარიშვილი, ვ. მაღლური, გ. ენუქიძე და ბევრი სხვა.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲘᲗ

ᲤᲝᲗᲘ. („კომუნისტის“ კორ.). ჰიდრომექანიკური ქარხნის კოლექტივი დღითიდღე აძლიერებს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას და ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს ყრილობის გახსნის დღეს.

ქარხნის პროდუქცია კარგად არის ცნობილი როგორც ჩვენს დიდ სამშობლოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. იანვარში მონისმწყრი შექანიზმები გაიგზავნა კუბაში და ცეილონზე.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ

ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲓᲜᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ სხვადასხვა, კერძოდ, მედიცინის დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარებისათვის ამ დღეებში მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1964-1965 წლების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გეგმას.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება აგრეთვე ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო კავშირი უმაღლესი განათლების დარგში. ხელოვნების დარგში ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის კი ნავარაუდევია მრავალი საინტერესო ღონისძიებანი. კერძოდ, საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ ბერლინის მაქსიმ გორკის სახელობის თეატრის დასი და სავსტრაფო კოლექტივები. ხოლო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართებიან საციციანო ანსამბლი „ბერიოზკა“, ლატვის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ქართველი მსახიობები, დიდი თეატრის მეგოლიანეთა ანსამბლი და უზბეკეთის საცეკვაო ანსამბლი „ახორი“. გასხვავებულია აგრეთვე მწერალთა, მხატვართა, მუსიკოსთა და კომპოზიტორთა შემოქმედებითი ურთიერთკავშირის გამოძახებული სხვა ღონისძიებანი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ რამდენიმე დღეს საქმიანმეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის საკონსულო მოლაპარაკება, რომლის შედეგადაც ხელშეწერილ იქნა ოქმი 1964 წლის საქონელბრუნვის შესახებ.

საბჭოთა კავშირი გერმანიას მიაწვდის სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებს, მცენარეებს, საკერავ მანქანებს, ნავთობპროდუქტებს, ცემენტს, ბამბის ქსოვილებს, ელექტროსაყოფაცხოვრებო და სხვა საქონელს. გერმანია სსრ კავშირს მოაწვდის ზეთოვან მცენარეთა თესლს, ბანანს, ანანასს, ყავას, ეთეროვან ზეთს, ბოქსიტებსა და სხვა საქონელს.

ᲙᲐᲨᲣᲜᲩᲨᲘ მიმდინარეობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მუდმივი კომისიის მეშვიდე სხდომა. სხდომაზე მთელი რიგი საინტერესო ინფორმაციები გააკეთეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრებმა.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ

ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲓᲜᲝᲑᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). № 1 ღუმელს კომუნისტური შრომის სახელობის სახელთან ერთად მეორე ასევე საპატიო წოდება აქვს. იგი სკკპ XXII ყრილობის სახელს ატარებს. ერთიც და მეორეც მოპოვებულ იქნა ენერგიული, შემოქმედებითი შრომით.

— რა არის ყველაზე დამახასიათებელი ამ ღუმელის მომსახურე ბრიგადებისათვის?

ამ კითხვაზე ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გ. ბერიკაშვილი გიპასუხებთ:

— ჩქაროსნული დნობა.

და მართლაც, ახალი სამეურნეო წელი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 1 ღუმელის მომსახურე ბრიგადებმა, რომლებსაც ა. ფანცულაია, ი. ტაბატაძე, ზ. ყველაშვილი და თვით გ. ბერიკაშვილი თავეკაცობენ, ახალი ჩქაროსნული დნობებით დაიწყეს. მაგალითად, გუშინ ა. ფანცულაიამ დნობა 5 საათსა და 50 წუთში განახორციელა, სხვა ბრიგადებმა — 6-6,5 საათში. სწორედ ამან განაპირობა, რომ მათ იანვრის 15 დღეში გეგმის ზევით გამოადნეს 200 ტონაზე მეტი ფოლადი.

არ დაუშვან ტემპების შენელება, ყოველი ნადნობი იყოს ჩქაროსნული — ასეთია გადაწყვეტილება.

ᲞᲐᲯᲐᲙᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

კარგი შრომითი მაჩვენებლებით დაიწყეს ახალი წელი ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებმა. იანვრის პირველ დეკადაში სახელმწიფოს მივყიდეთ 105 ტონა ხორცი, რაც შარშანდელ თითქმის ნახევარი წლის გეგმას აღემატება. ქების ღირსნი არიან მეცხოველეები გ. გულვერდაშვილი, კ. ბეღელური, ვ. გონგაძე, გ. წიკლაური, ს. შიხიაშვილი და ს. ჩოხელი, რომლებმაც 103 სული მსხვილფეხა პირუტყვი გაასუქეს და წლის დასაწყისშივე სამშობლოს გამარჯვება უპატაჟეს.

შ. ბექაური.
თეთრი წყაროს რაიონის ჭორჭაშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲣᲮᲣᲪᲔᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

მოსკოვი, 18 იანვარი. (საკკორესი). სსრ კავშირის უხუცეს ენერგეტიკოსთა საბჭომ, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს შეიქმნა ძველი ბოლშევიკი ლენინელების ინიციატივით, დღეს თავმჯდომარედ აირჩია ლენინური გვარდიის ვეტერანი სოციალისტური შრომის გმირი პ. ი. ვოვკოდინი.

ამ საბჭომ, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა, მიზნად დასახა პროპაგანდა გაუწიოს კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის შემდგომი ელექტრიფიკაციისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საქმეში. იგი შეაგროვებს აგრეთვე მასალებს საბჭოთა კავშირის ელექტრიფიკაციის ისტორიის საკითხებზე და გადაწყვეტილი აქვს ეს მუშაობა დაამთავროს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან ბევრი თვალსაჩინო სპეციალისტი ენერგეტიკის დარგში, გოელროს ლენინური გეგმის განხორციელების მონაწილეები, მსხვილი ელექტროსადგურების მშენებლები.

მშრომელთა უწყვეტი ნაკადი ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის აკენ.

ფოტო ... სანაიასი

ლენინის დროშით

ᲓᲦᲔᲡ სრულდება ორმოცი წელიწადი, რაც საბჭოთა ადამიანები მწყობრი ნაბიჯით მიდიან წინ ულენინოდ, ლენინური გზით.

და განა მარტო საბჭოთა ადამიანები! მთელი მსოფლიოს ნილიარდზე მეტი კაცი აშენებს დღეს ახალ ცხოვრებას ლენინურად, ლენინური დროშით.

ეპოქის მთავარ მაგისტრალზე მიჰქრის კაცობრიობის გაზაფხულის ლოკომოტივი. მისი მამძღვანებელი ძალა ხალხი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ულენინოდ, მაგრამ ლენინურად წარმატებით წყვეტს ბედნიერი მომავლის ამოცანებს.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა გული აღსავსეა დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ბევრი თაობა ოცნებობდა სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებაზე. მარქსმა და ენგელსმა რევოლუციური აზროვნების ისტორიაში პირველად დაასაბუთეს მეცნიერულად კაპიტალიზმზე სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა, გვიჩვენეს ბრძოლის გზები, პროლეტარიატში დაინახეს ისტორიის მთავარი ძალა. ვ. ი. ლენინმა გენიალურად განავითარა მეცნიერული კომუნიზმის თეორია ახალ ისტორიულ პირობებში და რევოლუციურ პრაქტიკად განახორციელა იგი.

ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ დარაზმა მეფის რუსეთის ხალხები კაპიტალიზმზე საიერიშოდ და გამარჯვებამდე მიიყვანა ისინი. დაიწყო სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. საბჭოეთი — ჩაუქრობელი შუქურა, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში აანთო ლენინმა, მთელი მსოფლიოს მშრომელებს უნათებს გზას ეშმარიტი თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

ბრძოლის დიდ პროგრამად მიიღეს საბჭოთა ადამიანებმა ლენინის ის მითითება, რომ „**ᲠᲝᲛᲪᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ, ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲡᲐᲮᲝᲗ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲫᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ.**

ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲖᲔ ᲛᲘᲰᲭᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ. მისი მამძღვანებელი ძალა ხალხი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ულენინოდ, მაგრამ ლენინურად წარმატებით წყვეტს ბედნიერი მომავლის ამოცანებს.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა გული აღსავსეა დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ბევრი თაობა ოცნებობდა სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებაზე. მარქსმა და ენგელსმა რევოლუციური აზროვნების ისტორიაში პირველად დაასაბუთეს მეცნიერულად კაპიტალიზმზე სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა, გვიჩვენეს ბრძოლის გზები, პროლეტარიატში დაინახეს ისტორიის მთავარი ძალა. ვ. ი. ლენინმა გენიალურად განავითარა მეცნიერული კომუნიზმის თეორია ახალ ისტორიულ პირობებში და რევოლუციურ პრაქტიკად განახორციელა იგი.

ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის საქმიანობის მთელი აზრი, მისი უმაღლესი მიზანი ხალხის კეთილდღეობა და ბედნიერებაა. ამ მიზანს ემსახურება ყველა უდიდესი გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. აი რატომ მიაჩნია საბჭოთა ხალხს პარტიის პოლიტიკა თავის პოლიტიკად, პარტიის გადაწყვეტილებანი და გეგმები — თავის ფიცად საქმედ.

ყველა საბჭოთა მშრომელის უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობა, პატრიოტული სიამაყისა და ქმაყოფილების გრძნობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. პლენუმის გადაწყვეტილებები მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების მომწიფებულ მოთხოვნილებებს და სავსებით შეესაბამება ხალხის ინტერესებს. საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს ეყრდნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მოწვევაც.

ჩვენს გზას აციცკროვნებს ლენინის გენია. და რომ ეს ასეა, ეს ყველაზე ნათლად ჩანს საბჭოთა საქართველოს მაგალითზე. დიდი ლენინი ქართველ კომუნისტებს მიუთითებდა: „...**ᲛᲗᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲚᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲗ ᲛᲫᲘᲓᲐᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲐᲛᲝᲛᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ**“. ბელადის ამ მითითებას საქართველოს კომუნისტებმა მშრომელებთან ერთად ხორცი შეასხეს — დღეს რა სახის მრეწველობა გინდა საქართველოში არიუოს! დღეითიდღე ვითარდება საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, იფურჩქნება სოციალისტური შინაარსის ეროვნული კულტურა. ლენინის საქმისადმი მტკიცე ერთგულებით რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებული ეს დიდი წარმატებები უახლოეს დღეებში ერთხელ კიდევ შეჯამდება ლენინის პარტიის ერთ-ერთი უძველესი რაზმის — საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობაზე.

სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება ჩვენს ქვეყანაში ხალხთა ლენინური მეგობრობის იდეები. 1921 წლის 8 მაისს ვ. ი. ლენინი წერდა: „**ᲛᲫᲘᲠᲐᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲕᲘᲚᲐᲡᲛᲔᲑᲘᲗ ᲠᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜᲪᲐᲠ ᲕᲐᲚᲓᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲝᲕᲘᲗᲐᲕ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲫᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲧᲕᲝᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲐᲜᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲧᲕᲝᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ**“. მართლაც, ბურჟუაზიის დროს არნახული, ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი მეგობრობა აკავშირებს დღეს ამიერკავკასიის ხალხებს. ამ მეგობრობის ძალა და ცხოველმყოფელობა იგრძნობა აზერბაიჯანელ მენავთობეთა თუ ქართველ მეტალურგთა, სომეხ მევენახეთა თუ ქართველ მეჩაიეთა შრომაში.

ხალხთა მეგობრობის, თავისუფლების იდეები, ლენინიზმის იდეები ძლევამოსილად ვრცელდება ყველა კონტინენტზე. იმპერიალიზმი ამაოდ ცდილობს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების გზით გაიხანგრძლივოს არსებობა, დაამარკოოს სოციალიზმის წინსვლა. საბჭოთა კავშირის, მომძლე სოციალისტური ქვეყნების, მთელი მსოფლიოს ხალხები ფხიზლად დგანან მშვიდობის საგუშაგოზე. ლენინი ბაზგასმით აღნიშნავდა, რომ „**ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝ�პᲐᲒᲐᲜᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲡᲐᲮᲐᲗ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲝᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ ᲝᲛᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲣᲚᲝᲡ ᲝᲛᲘ**“.

ჩვენი პარტიის, ყველა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის ძალა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულებაშია.

ლენინის სახელოვანი დროშით, ლენინური კომუნისტური პარტიის ბრძოლი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის კაცობრიობის დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲛᲘᲡ ᲣᲙᲚᲝᲕᲔᲚᲘᲐ!

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒᲘ ᲨᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲕᲔᲑᲨᲘ

მოსკოვი, 20 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). ბუნის დილით კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი დივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო და მისი თანმხლები პირები კრემლის რეზიდენციიდან წავიდნენ მოსკოვისაღლო აგარაკში, სადაც კუბელი მეგობრები მიიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ფიდელ კასტრომ და მისმა თანამგზავრებმა გაიცნეს ნ. ს. ხრუშჩოვის ოჯახი და მისი შვილიშვილები.

კუბელმა სტუმრებმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა გაისეირნეს ტყეში. მდინარე მოსკოვის ახლოს ისინი შეხვდნენ მოთხილამურეთა ჯგუფს. კუბელმა სტუმრებმა მათ თხილამურები სთხოვეს, და ფიდელ კასტრომ გაიარა თხილამურებით.

შემდეგ ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვივნენ № 1 ცხენსაშენს, ფიდელ კასტრო დიდი ინტერესით გაეცნო რუსული ჯიშების ცხენებს, ამასთან აღნიშნა, კარგი იქნება რომ, კუბაშიც შეიქმნას ასეთი მშვენიერი მეურნეობანი. მან ჰკითხა ნ. ს. ხრუშჩოვს, დიდი ყურადღება ეთმობა თუ არა სსრ კავშირში ჯიშიანი ცხენების მოშენებას. ნ. ს. ხრუშჩოვმა დადებითად უპასუხა, ამასთან თქვა, რომ ახლა ცხენსაშენები რენტაბელურად აწარმოებენ მეურნეობას, თვითონ ამზადებენ საჭირო საკვებს, აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქციას. ახლა № 1 ცხენსაშენს კარგი მეწველი ჯოგი აქვს. ეს და სხვა ცხენსაშენები აწარმოებენ ცხენების მოშენებას საექსპორტოდ. თითოეული გაყიდული ჯიშიანი ცხენი საშუალებას აძლევს სახელმწიფოს შეიძინოს ორიდან ხუთ სულამდე მაღალპროდუქტიული მეწველი პირუტყვი.

ცხენსაშენის დირექციამ სთხოვა ამხანაგ ფიდელ კასტროს და მის თანამგზავრებს, სამცხენებით გავისეირნოთ დათოვლილ ტყეშია. ფიდელ კასტრო ხალისით დათანხმდა.

ჟღარუნით ჩამოდგნენ რუსული სამცხენეები. კუბის ეროვნულ გმირს გულითადად მიესალმნენ ქარხნის მუშაკები, მათი ოჯახების წევრები, ბავშვები.

სწრაფად მიქრიან ველზე რუსული სამცხენები. მარხილებში სხედან ნ. ს. ხრუშჩოვი, ფიდელ კასტრო და მათი თანმხლები პირები. თუმცა დღეს მოსკოვში არ არის დიდი ყინვა, ეროპიკული ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებისათვის მაინც მოამზადეს რუსული ქურქები. სამცხენეთით სწრაფი მგზავრობა, როგორც თვითონ თქვეს, ყველაზე შესანიშნავი სიამოვნება იყო.

მაგრამ აი სამცხენეები ცხენსაშენში დაბრუნდნენ. ფიდელ კასტრომ ცხოვლად გამოიკითხა, თუ როგორ მართავენ სამცხენეს. გაიხსენა, რომ ოდესღაც ძველ რუსეთში თვეობით დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში. ეს მას წაუკითხავს წიგნებში.

ცხენსაშენის დირექციამ სტუმრები მიიპატიჟა რუსული სამოვრის ჩაზე.

ფიდელ კასტრო და მისი თანამგზავრები მეტად კმაყოფილი დარჩნენ მოსკოვის მიდამოებში მათ გულთბილად მიესალმნენ ცხენსაშენის მუშაკები. ფიდელ კასტრომ და ნ. ს. ხრუშჩოვმა სურათი გადაიღეს სამახსოვროდ მუშებთან და მათ შვილებთან.

იმავე დღეს ქალაქგარე აგარაკში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ სადილი გამართეს ფიდელ კასტროს პატივსაცემად. მასთან ერთად იყვნენ მაიორები პედრო მირტი, ალდო სანტამარია, რენე ვალიეხო, კაპიტანი ბიენვენიდო პერესი, ჯგრეთვე კუბის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ... ...

შემდგომშიც კომუნიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ვიქნებით

თბილისის XXXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის მოწინავე რაზმი — თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია — საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმს რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა ავანგარდული ხვდება. იგი ერთგულია თავისი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებისა და როგორც არასდროს მტკიცედ არის დარაზმული პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მზად არის შემდგომშიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით განახორციელოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გრძნული კოლიტიკა, დარაზმოს ქალაქის მშრომელები ახალ წარმატებათა მისაღწევად კომუნისტურ მშენებლობაში. ამას მოწმობს თბილისის XXXI საქალაქო პარტიული კონფერენციის მთელი მუშაობა.

ახალი წარმატებებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში

საანგარიშო პერიოდი ორ წელიწადზე მეტ ხანს მოიცავს, თქვა პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა **ო. ი. ლოლაშვილმა** თავის მოხსენებაში XXXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. ამ პერიოდში, რომელიც აღსავსე იყო უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებით, ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, მრავალფეროვანი საქმიანობის მიზანი იყო განეხორციელებინა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ პროგრამა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს, რომლებიც ყრილობის შემდეგ გაიმართა, ნაადგილად რეოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის მთელი საქმიანობისათვის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და მშრომელთა იდეოლოგიური აღზრდის მხრივ. ამქამად პარტიის, საბჭოთა ხალხის უყურადღების ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გრანდიოზული პროგრამა დასახა. ამ პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს კომუნიზმის მატერიალურ-მენტალური ბაზის დაჩქარებულ შექმნას. სასოფელო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ გადიდებასა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუჯობესებას.

საბჭოთა ხალხის საერთო ბრძოლაში პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოსა და მისი დედაქალაქის — თბილისის მშრომელებსაც. მათ ვადაზე ადრე, 24 დეკემბერს შეასრულეს 1963 წლის საწარმოო პროგრამა და გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. გადაჭარბებით არის შესრულებული შრომის ნაყოფიერების გეგმა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაიზოგა 6 მილიონ მანეთზე მეტი. გადაჭარბებით სრულდება შვიდწლედის დავალება. 1963 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა, 1958 წელთან შედარებით, 46 პროცენტით გადიდდა, შრომის ნაყოფიერება კი 23,9 პროცენტით. ორი წლის განძილზე, იმუშავდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის 50 ობიექტი, მათ შორის კიბოლ-სარფაული ფაბრიკა, აბრეშუმსაქსოვ-ფაკარდის წარმოება, ღვინის ქარხანა და სხვა.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ, მისმა სამმართველოებმა და ტრესტებმა, თქვა მოხსენებელმა, უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად დაიწყეს წარმოების საკითხების გადაწყვეტა, უკეთესად, უფრო ღრმად ერკვევიან მრეწველობის ეკონომიკაში. წინ მიდიან დროს ესწრებენ ჩვენი „შეტრები". ბევრმა მაგალითა უკვე შესრულა თავიანთი შვიდწლედის დავალებანი. მარტო ორ წელიწადში კომუნისტური შრომისათვის სახელოვანი მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი 75 ათასი კაცით გადიდდა. ჩაის საწონმა ფაბრიკამ, ავრამიკულმა კომბინატმა, № 1 ტკინის ქარხანამ, სულ თბილისის ექვსმა საწარმომ უკვე მოიპოვეს კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდება.

წარმოების ნოვატორები, სპეციალისტები, მეცნიერები, კონსტრუქტორები ნაყოფიერად მუშაობენ ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შექმნისა და დანერგვისათვის. შექმნილი და ათვისებულია ბევრი დიდმწარმოებლური მანქანა, მექანიზმი, აპარატი, ხელსაწყო. დაიწყო სახალხო მოხმარების ახალი საქონლის გამოშვება. შვიდწლედის განვლილი წლების მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში, რომლებიც თბილისში მდებარეობენ, დაიდგა 219 ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, ორი ათასამდე ავტომატური და ნახევრად ავტომატური ჩარხი, მანქანა და აგრეგატი. მოდერნიზებულია მოწყობილობების ორი ათასზე მეტი ერთეული. ტექნიკური პროგრესის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მრავალათასიან რაზმს. ქალაქის საწარმოებში შვიდწლედის წლებში დაინერგა 25 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომელებმაც 16 მილიონამდე მანეთის წლიური ეკონომია მოგვცეს.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე, აღნიშნა მომხსენებელმა, სერიოზული თვალსაზრისი ეჭირა ქალაქის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა,— თქვა მან, — დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის გაუჯობესებისათვის. ამის, მაგალითად, მოწმობს სანიაღვარ მშენებლობის დიდი გაქანება თბილისში. მარტო 1962 წელს ქალაქში საექსპლატაციოდ გადაცემულია 2,5-ჯერ მეტი ბინა, ვიდრე 1957 წელს. ჩვენ შეგიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ ნაკისრი ვალდებულება ვასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაგვეცა 200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მშენებელთანი გადაჭარბებით შეასრულეს. სულ გადაცემულია 220 ათასი კვადრატული მეტრი. უკანასკნელ ორ წელიწადში ახალმოსახლეობა იდღესასწაულა დაახლოებით 15 ათასმა ოჯახმა.

ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოთა განხორციელება შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ შემდგომ განვითარდა სამშენებლო ინდუსტრია. 1958 წელთან შედარებით ასაწყობი რკინაბეტონის წარმოება გადიდდა სამჯერ და მეტჯერ, ხოლო ისეთი დიდი საშენი დეტალების წარმოება, როგორიც არის ძირითადი ბლოკები — 8-ჯერ. მარტო გასულ წელს ქალაქში მსხვილი პანელებით და ბლოკებით დაახლოებით აშენდა 130 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი.

მაგრამ მშენებლობაში მიღწეული წარმატებანი, განაცხადა მომხსენებელმა, არც ჩვენ და არც მშენებლებს უფლებას არ გვაძლევს შეეურიგდეთ ნაკლოვანებებს, დავიგიწყოთ ის რეზერვები და შესაძლებლობანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს სამშენებლო წარმოების ორგანიზაციაში.

საჭიროა, კერძოდ, გადაჭრით გავუმჯობესოთ სამრეწველო მშენებლობის ხელმძღვანელობა ქალაქში, რამაც უნდა უზრუნველყოს მშენებლობის წარმატებით დამთავრება და გეგმით გათვალისწინებულ ახალ სამმეცავიანი მწყობრში ჩადგომა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხი. დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული საპროექტო ორგანიზაციების წინაშე, რომლებმაც უახლოეს დროში უნდა შეიმუშაონ 9, 14 და 16-სართულიანი საცხოვრებელი სახლების პროექტები, რაც შეესაბამება თანამედროვე ქალაქმშენებლობის მოთხოვნილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის დედაქალაქს განვლილ ორ წელიწადში შეეძატა თითქმის 10 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული სასკოლო შენობები, ახალი სასტუმროები, საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, პოლიკლინიკა, ხიდები და სხვა ახალშენებლობანი. უნდა განხორციელდეს დიდი მოცულობის სამუშაოები. გაგრძელდება პანორამული კინოთეატრის შენებლობა, რომელიც 2.500 მაყურებლისთვის არის გათვალისწინებული, საცურაო აუზის, ბარათაშვილის სახელობის ორიარუსიანი ხიდის შენებლობა და სხვა. მომხსენებელმა თქვა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება იმასთან დაკავშირებით, რომ გაყვანილია ყარადალის და სტაროპოლის საბადოთა ბუნებრივი გაზი. ახლა საქართველოს დედაქალაქის 58.200 ოჯახი სარგებლობს გაზის დანადგარებით. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა — გაძლიერდეს თბილისის თბოფიკაციის, სამრეწველო საწარმოთა ოაფ გაზის სათბობზე გადაყვანის ტემპი.

მოხსენებაში დიდი უყურადღება დაეთმო სოციალისტური მართლწესრიგის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას. ამბ. ლოლაშვილი აღნიშნავს, რომ ეკანასკნელ დროს მილიციამ, სასამართლომ და პროკურატურამ განამტკიცეს კავშირი საზოგადოებრივობასთან, აქტიურად იბრძვიან დატაცების, გაფლანგვის, მექრთამეობისა და სხვა საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო მასები აღვზარდოთ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გავუმჯობესოთ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაობა, ავამაღლოთ საზოგადოებრივობის როლი და პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თბილისი გახდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქი.

ამბ. ლოლაშვილმა ილაპარაკა იმ მნიშვნელოვანი მუშაობის შესახებ, რომელიც თბილისის საწარმოებში. მშენებლობებზე და დაწესებულებებში გასწიეს აქ შექმნილმა პარტიულ-სახელმწიფო კომიტეტის სისტემის 1.351 ჯგუფმა და 7.063 საყოფაცხოვრებო საგუშაგო. მათი ნაყოფიერ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს 28 ათასზე მეტი კაცი. მაგრამ კონტროლის ზოგიერთ საგუშაგოსა და ჯგუფის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ფორმალიზმი.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ამბ. ლოლაშვილმა მიუძღვნა პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას. მან აღნიშნა, თუ რა ფართოდ განვითარდა სოზოგადოებრივი საწყისები პარტიულ მუშაობაში, თუ რა სერიოზული. წვლილი შეაქვს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში საქართველოს დედაქალაქის 6 ათას ლექტორსა და პროპაგანდისტს, 20 ათას აგიტატორს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა პარტიული პროპაგანდის გაღვენის სფერო. მარტო ქალაქის პოლიტიკური განათლების სისტემაში მეცადინეობს დაახლოებით 185 ათასი კაცი — ერთისამად მეტი, ვიდრე 1960-1961 სასწავლო წელს. აქედან ნახევარი უპარტიოა. ფართოდ განვითარდა ეკონომიკური სწავლება. პირველად შეიქმნა მოწინავე კამოყენებლობის შესწავლის სკოლები და კომუნისტური შრომის სკოლები. უფრო მრავალმხრივი და შინაარსიანი გახდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფორმები. ლექტორთა ჯგუფის, აგრეთვე საზოგადოება „ცოდნის" საქალაქო გაეყოფილების ძალებით ორ წელიწადში წაკითხულია 40 ათასზე მეტი ლექცია. ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდისათვის, თბილისის გარნიზონის მეთაურთან ტრადიციული კავშირის განმტკიცებისათვის.

დიდი მუშაობა წარმოებს ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საქალაქო უნივერსიტეტი.

— მიუხედავად ამისა, აღნიშნავს მომხსენებელი, — ჯერ კიდევ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი იჩენს ჯეროვან ყურადღებას კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური სწავლისადმი, ზოგიერთი წრეების, პოლიტიკური სკოლებისა და სემინარების მეცადინეობა წარმოებს დაბალ დონეზე, მოწყვეტილია პრაქტიკულ ამოცანებს. ჯერ კიდევ ბევრი ფორმალიზმია საგიტაციო მუშაობაში, განსაკუთრებით საგიტაციო მუშაობაში მშრომელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის სერიოზული ნაკლოვანებანი და სუსტი ქმედითობა.

მომხსენებელმა თქვა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სულ უფრო ფართოდ მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, პატრიოტული წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საქმეში, ამაღლდა სასწავლო-აღმზრდელობითი და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, მომავალი სპეციალისტების სწავლა დაუახლოვდა ცხოვრებას, პრაქტიკას, გაუჯობესდა ქალაქის სკოლებში მოზარდი თაობის სწავლა და აღზრდა. ამავე დროს ამბ. ლოლაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით მუშაობას იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, აქვს ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი.

მომხსენებელმა აღნიშნა ქართველ მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფიის, თეატრის მუშაკთა შემოქმედებითი წარმატებანი, და თქვა, რომ მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. მშრომელები ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისაგან მოელიან ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერ ახალ მაღალიდეურ ნაწარმოებებს, პარტიული ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირებისა და დაწესებულებების ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირის შემდგომ განმტკიცებას ხალხს ცხოვრებასთან.

— შეეხო რა ახლახან განვლილ პირველ ლიდი პარტიული ორგანიზაციების ამასწინანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებების და რაიონული პარტიული კონფერენციების შედეგებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები მიმდინარეობდა მაღალი აქტიურობით. მათ ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ თბილისის კომუნისტები მუდმივად ერიან შეკავშირებული მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მზად არიან მთელი თავიანთი ძალა და ენერგია მოახმარონ პარტიის პროგრამის, სკკპ XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

ავამაღლოთ მრეწველობის პარტიული ხელმძღვანელობის დონე

პარტიული კონფერენციის, ისევე როგორც მთელი პარტიისა და საბჭოთა ხალხის უყურადღების ცენტრში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

დელეგატებმა ილაპარაკეს რესპუბლიკაში დიდ ქიმიის დაჩქარებული განვითარების პრაქტიკულ ამოცანებზე, ამ საქმეში თბილისის სამრეწველო საწარმოთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მშრომელების როლის ამაღლებაზე.

ამ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. გ. გომელაურმა** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოსმა-მდივანმა, პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა **გ. ვ. ციცაშვილმა.**

1964 წელს რესპუბლიკაში ქიმიური პროდუქციის ზრდის ტემპი, თქვა ამბ. გომელაურმა, 1963 წელთან შედარებით 44,7 პროცენტით გაიზრდება, 1965 წელს კი 1964 წელთან შედარებით — 50,3 პროცენტით. შვიდწლედის მეექვსე წელს მინერალური სასუქების წარმოება საქართველოში 20 ათასი ტონით გაიზრდება, გაიშლება კაპროლაქტამის მასობრივი წარმოება.

კაპიტალდაბანდება რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის 1964 და 1965 წლებში მნიშვნელოვნად გადიდდება. ეს სახსრები ძირითადად მოხმარდება რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობას, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის გაფართოებასა და იქ ტყიბულის ლიპტობიოლითური ქვანახშირისა და ფიქ-ლებისგან პრეფხენილის საწარმოო საცდელ-სარეწველო დანადგარის შექმნას, ხელოვნაძეის სინთეზური მასალების ნაკეთობათა ქარხნის მშენებლობის დამთავრებას. ეს საშუალებას მოგვცემს უკვე 1965 წელს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1958 წელთან შედარებით გავზარდოთ სამნახევარჯერ და უფრო მეტად.

თბილისის საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რესპუბლიკის დიდი ქიმიის დაჩქარებული განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში. ისინი ტონს აძლევენ რესპუბლიკის სხვა საწარმოებს, რომ გაფართოვდეს ქიმიური მასალების გამოყენება საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, მსუბუქ და საფეიქრო მრეწველობაში.

მაგრამ მათ მუშაობაშიც ჯერჯერობით ბევრი სერიოზული ნაკლი და გამოუყენებელი რეზერვებია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მნიშვნელობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ვ. ციცაშვილმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი მოთბეჭდილებანი ჩვენი პარტიის ამ თვალსაჩინო ფორუმის მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერება უდიდეს როლს ასრულებს დიდი ქიმიის შექმნისა და განვითარების საქმეში, ილაპარაკა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ-ქიმიკოსების უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების შესახებ.

ამ გამოკვლევათა უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი მინერალური და მცენარეული ნედლეულია შემდგომი ქიმიური შესწავლა, სასუქის, შხამქიმიკატებისა და ბიოლოგიურად აქტიური შენაერთების მიღების ტექნოლოგიის შესწავლა და გაუმჯობესება, ახალი მაღალმოლეკულური და პოლიმერული მასალების, ქიმიური ნივთიერებების მიღება, მათი თვისებების გამოკვლევა და სხვა.

თავის სიტყვაში საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. გ. აბუთიძემ** აღძრა აქტუალური საკითხი რესპუბლიკის დიდი ქიმიური საწარმოს — პლასტმასების ქარხნის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შესახებ.

ამქამად ეს ქარხანა ამუშავებს 15 სახეობის თერმორეაქტიულ და თერმოპლასტიკურ პლასტურ მასებს და ამზადებს 600 დასახელების პლასტმასის დეტალებს რესპუბლიკის მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობისათვის. ამ ქარხანას სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებენ. საჭიროა პლასტმასების წარმოების გაფართოება, უნდა დაიდგას ახალი მოწყობილობა იმ ფართოზე, რომელიც ახლა კლაინშენიანი მუსიკალური სკკრავების ფაბრიკას უჭირავს.

ფეხსაცმლის გაერთიანების „ისნის" დიოექტორმა **მ. ფ. ჩხეიძემ** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ მხრივ, რომ მოწესრიგდეს საბჭოთა ფირმების მუშაობა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომ შეეასრულოთ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმოების მართვის სტრუქტურის გაუმჯობესების სამრეწველო საწარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. ე. ბელტიხინმა** აღნიშნა, რომ ამ რაიონში არც ერთი ისეთი საწარმო არ არსებ, რომელსაც სახელმწიფო გეგმა არ შეესრულებინოს. მაგრამ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე მთელი პრინციპულობით იყო აღნიშნული ბევრი ბეჭედი პროდუქციის დაბალი ხარისხი. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს.

ამბ. ბელტიხინმა აღნიშნა, თუ რა ნაკლოვანებებია წარმოების დაგეგმვისა და საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეში. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა მომზადება ქალაქის მსუბუქ და საფეიქრო მრეწველობაში სანთლეზრი მასალების ფართო დანერგვისათვის.

ამავრაკვკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა ამბ. დ. დ. ბერაძემ ილაპარაკა რესპუბლიკის დედაქალაქის რკინიგზელთა წარმატებებზე. მუშაობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელის — ვაგონების ბრუნვის გაუმჯობესებაზე, დიდწონიანი მატარებლების წაყვანის ფართო გავრცელებაზე.

ორატორმა აღნიშნა, რომ აუცილებელია, ცენტრალიზებული ტვირთზიდვის გაფართოება.

„თბილმრეწვმშენის" ტრესტის საწარმოთა სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა **კ. დ. ჭელიძემ** თქვა, რომ მისმა ბრიგადამ ვადაზე ადრე შეასრულა გასული წლის გეგმა.

მრეწველობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებზე ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. მათ შეიმოტანეს წინადადებანი, რომელთა მიზანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება, სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულება, არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენება.

უკეთ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი

მთელმა რიგმა ორატორებმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს საქალაქო მეურნეობის განვითარების, თბილისის კეთილმოწყობის. მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ სამუშაოთა დიდი გაქანება რესპუბლიკის დედაქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამეფებულ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამბ. **ა. ე. მელაძემ** აღნიშნა, რომ გასულ წელს ქალაქის მშენებლებმა კარგად იმუშავეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წელი მიუძღვის „მთავარბინელმშენის" კოლექტივს, რომელმაც უზრუნველყო საბინაო მშენებლობის კვარტალური და წლიური გეგმების შესრულება. კარგად იმუშავეს აგრეთვე ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტისა და „ინგმშენის" კოლექტივებმა. საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო მეურნეობის საკრიბიანობისათვის დაიხარჯა გაცილებით მეტი სახსრები, ვიდრე 1960-1961 წლებში.

მომდინარე წელს უნდა დამთავრდეს საქალაქო მეურნეობის ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა, განხორციელდეს დიდი მოცულობის საბინაო და ტექნიკურ პროგრესზე მრეწველობაში. 1115 ათასი მეტრი ფიზიკოგეს ჩვენს ქვეყანას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოების ახალგაზრდა ნოვატორებმა. კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ქალაქში შექმნილია 105 კომკავშირული შტაბი, ბევრი კომკავშირული საგუშაგო, რომლებმაც გაშალეს ბრძოლა იერიშობანას წინააღმდეგ, რიტმული მუშაობისათვის.

რესპუბლიკის დედაქალაქის კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ. ათასობით ახალგაზრდა მუშა, სპეციალისტი, ინჟინერი, მეცნიერი მუშაკი მიდის სამუშაოდ დიდი ქიმიის მშენებლობებზე; ენერგიულად იბრძვის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიამ დასახა.

სპეციალისტებს ქიმიური მრეწველობისათვის ამზადებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რუსთავის კაპროლაქტამის წარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით, თქვა თავის სიტყვაში უნივერსიტეტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. კ. ხარაძემ**, ქიმიის ფაკულტეტზე შემოღებულია ახალი სპეციალობა — მაღალმოლეკულური შენაერთების ქიმია. მან აღნიშნა საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით სტუდენტება აღზრდის შესახებ, აკადემიური წარმატების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის შესახებ. უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა ესთეტიკური აღზრდის საბჭო მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის, ლიტერატურისა და სხვა სექციებით.

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში სახვითი ხელოვნების როლზე ილაპარაკა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **ზ. ა. ლეფაკამ.** მან აღნიშნა, რომ გამოეხმაურნენ ჩვენ პარტიის მოთხოვნებს. მხატვრები ცდილობენ შექმნან ისეთი ტილოები, რომელებიც ასახავენ თანამედროვეობას, ჩვენი დღეების გმირებს. ისინი პრაქტიკულად ეხმარებიან მშრომელებს ესთეტიკური აღზრდაში. რესპუბლიკის ასზე მეტი მხატვარი ჩაება სამხატვრო საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობაში, რომელიც შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან.

ქართულმა ლიტერატურამ შეიტანა და კვლავ შეაქვს უძვირფასესი წვლილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცებაში. მის საუკეთესო მაგალითებზე ქალაქისა და ეროვნების თაობები სწავლობენ სოციალისტური სამშობლოს, თავისი ხალხის სიყვარულს. ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურის მოღვაწეები კვლავაც აღზრდიან ახალგაზრდობას კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, გაიგრძობენ ხალხთა მეგობრობის სახელოვან ტრადიციებს ლიტერატურაში, განმტკიცებენ ლიტერატურის კავშირს მშრომელთა ცხოვრებასთან, კვლავ იქნებიან სოციალისტური რეალიზმის ნაკადი მეთოდების ერთგულნი. ამ საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა მწერალმა **გ. გ. აბაშიძემ.**

ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციების უყურადღების ცენტრშია, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორკომიტეტის რაიკომის პირველმა მდივანმა **კ. ა. ჭანკვალეიშვილმა,** გაამლიერონ იდეოლოგიური მუშაობა ინტელიგენციასა და ახალგაზრდობაში. ორკომიტეტის რაიონში თავმოყრილია რესპუბლიკის თითქმის ყველა დიდი უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 40 ათასზე მეტი სტუდენტი, მოძავალი ინჟინრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ექიმები და სხვ.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლთა შემადგენლობა, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობას უნერგავენ საბჭოთა ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის მორალურ თვისებებს: პატიოსნებას, სიმართლეს, პრინციპულობას, სიყვარულს შრომისადმი. მაგრამ ცალკეული სტუდენტები ჯერ კიდევ თავს არიდებენ ხალხის წინაშე თავიანთი მოვალეობის შესრულებას, სწავლის დამთავრების შემდეგ ცხოვდებიან დანიშვნის ადგილზე.

კადრების შერჩევაზე, მომზადებასა და განაწილებაზე გაამახვილა ყურადღება № 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანმა: **ვ. ვ. ხაბეიშვილმა.** ახლა ფაბრიკაში, თქვა მან, მუშაობის პასუხსაგებ უბნებს ხელმძღვანელობენ ადამიანები, რომელთაც აქვთ სპეციალური პროფესიული მომზადება. ხელმძღვანელ თანამდებობებზე აწინაურებენ ახალგაზრდობას. ყოველივე ამან საწარმოს მუშაობა უფრო რიტმული გახადა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესა გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი.

ამერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამბჭოს წევრმა, პოლკოვნიკმა **ა. ბ. ოსეფაშვილმა** ბეჭედს მოახსენა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ამ ბოლო დროს მილიციის ორგანოებმა განახორციელეს დახამაულთა და ბოროტმოქმედთა თავიდან აცილებლადო. მან თქვა, რომ საჭიროა უფრო სრულად იქნეს გამოყენებული კანონი იმ პირთა ქალაქიდან გასახლების შესახებ, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, საჭიროა გავაძლიროთ ბრძოლა პარაზიტიკეთ ელემენტებისა და მუქთახორების წინააღმდეგ. ამბ. ოსეფაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გავაძლიროთ ბრძოლა ქალაქის ტრანსპორტზე ავარიების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა და თბილისის საქალაქო საბჭოს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ამბ. **ვ. ნ. ხოდელმა** ილაპარაკა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა ნაყოფიერ მუშაობაზე თბილისში. მშრომელთა გინუყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებათა უკეთესი, უფრო სრული დაკმაყოფილება ქალაქის პარტიული ორგანიზაციების უბრალესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეს ახრი წითელ ზოლად გასდევდა დელეგატთა გამოსვლებს.

მთავარი ყურადღება მივაქციოთ იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას

ორატორები დიდ ყურადღებას უთმობენ პარტიულ-იდეოლოგიურ მუშაობას, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, სპეციალისტთა კადრების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებთან გადაწყვეტონ დიდი ამოცანები, რომლებსაც კომუნისტური პარტია, ჩვენი მთავრობა უსახავს ხალხს.

თბილისის 30 ათასი ახალგაზრდა წარმოების მუშაკი მონაწილეობს კომუნისტური შრომის მოძრაობაში, თქვა კონფერენციის ტრიბუნაზედან საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. ე. ხაბეიშვილმა.** კომუნისტურმ

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲐᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲑᲐ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲑᲝᲚᲝᲚᲓ რვა დღე გავშორებს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნის დღეს. ჩვენი სახელოვანი პარტიის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და მოწინავე რაზმის — საქართველოს კომპარტიის ყოველი ყრილობა მუდამ უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებაში. ამიტომ ახლაც, საქართველოს კომუნისტთა დიდი ფორუმის გახსნის წინადღეებში, რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან რედაქციაში მოდის მშრომელთა წერილები, რომლებშიც ისინი გვაუწყებენ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოთა კოლექტივების, საზოგადოებრივი მეურნეობების, ცალკეული ადამიანების გამარჯვებათა შესახებ. საქართველოს მშრომელები ყველფერს აკეთებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ახალი მიღწევებით შეხვდებიან თებერვლის პლენუმს.

დღეს ნომერში გბეჭდავთ საქართველოს კპ XXII ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფის წერილებს. რომლებიც პირველად არიან არჩეულნი საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად.

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ყრილობას პირველად დავესწრები. რამდენიმე დღე და მონაწილეობა უნდა მივიღო იმ დიდ ფორუმში, რომელიც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს შრომის, შენების, მოღვაწეობის ახალ დიდ ღონისძიებას დაუსახავს. მე კი მსურს, როგორც დელეგატი, პირნათელი შევხვდე ყრილობას. და განა მარტო მე, ყრილობას ახალ საჩუქრებს უმზადებენ მაიაკოვსკელი კომლეურნეებიც. იმ ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, შარშან, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, მოსავლელად მიჩენილი 11 ჰექტარი ვენახის საშუალოდ ჰექტარზე 80,8 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო 28 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა გეგმასთან შედარებით ერთიორად მეტი სიმინდის მარცვალი.

კარგად მესმის, რომ დიდ ნდობას, რაც იმით გამოიხატა, რომ ყრილობის დელეგატად ამირჩიეს, გამართლება უნდა. ეს ასეც იქნება. ჩვენი ბრიგადა თავის ახალ წვლილს შეიტანს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნაში. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ წელს შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 15-20 ცენტნერით მეტი მოსავალი, და გავაორეკეცოთ სიმინდის მოსავლიანობა. ეს სავსებით რეალური ციფრებია, რადგან კოლმეურნეობაში სიმინდისა და ყურძნის მოსავლიანობის ამაღლების ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. უხვ მოსავალს აქედანვე ვუყრით საფუძველს. წარმატებით მიმდინარეობს ვენახებში საზამთრო სამუშაოები. მოვაწყეთ ვაზის რიგთაშორის ხვნა, ძირების გამობარვა, შევაკეთეთ და გავიყვანეთ ახალი საწრეტი არხები, გავაშენეთ ახალი ვენახი და ვაზის საფიდე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მაიაკოვსკელი კოლმეურნეები ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღგვაფრთოვანა. არ დავზოგავთ მთელ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას იმისათვის, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

Ი. ᲐᲠᲬᲘᲕᲘᲫᲔ,
დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატი.

ᲤᲠᲗᲘᲒᲨᲔᲘᲡᲛᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ᲛᲐᲛᲘᲗ ადრე დაობლებულს დედის გაორკეცებული მზრუნველობა მიქარვებდა სევდას. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენს მახლობლად ახალგახსნილ ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკას მივაშურე. პირველად მოწაფედ მიმიღეს, მაგრამ როცა მალე დამოუკიდებლად დავიწყე ქსოვა, ცალკე დაზგა მომიჩინეს. წლები წლებს მისდევდა. პროფესიას სრულყოფილად დავეუფლე და ოსტატის წოდება მომანიჭეს. როცა ჯერ პარტიის წევრობის კანდიდატად, ხოლო შემდეგ კი პარტიის წევრად მიმიღეს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმ დღიდან ახალი ენერგიით შევუდექი შრომას. ჩემს სურვილს — ორ დაზგაზე დამეწყო მუშაობა, რაც პირველმა გადავწყვიტე ფაბრიკაში, დირექცია კმაყოფილებით შეხვდა. ამჟამად ორ დაზგაზე ყოველდღიურად ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 მეტრისა 24,8 მეტრ ხაოიან ქსოვილს ვქსოვ.

წარმოებაში ნაყოფიერ შრომასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვარ აგიტატორი — მუშებს ყოველდღიურად ვესაუბრები სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე, მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე, ყოველ საუბარს მჭიდროდ ვუკავშირებ კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს.

ჩემი გული სიხარულს ვერ იტევს — უბრალო მუშა ქალს წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მივიღო რესპუბლიკის მშრომელთა მებრძოლი ავანგარდის — საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მუშაობაში.

მოუთმენლად ველი ყრილობის გახსნას. და განა მარტო მე? ჩენი თანამოსაქმეებიც ჩემთან ერთად განიცდიან ამ სიხარულს. როგორც მე, ისინიც საჩუქრებს უმზადებენ საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმს.

თბილისში ხელცარიელი არ მოვდივარ, მაგრამ ჩემში ვგრძნობ ძალებს, რომ მიღწეულ წარმატებებს კიდევ გავამრავლებ. საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში, — სკკპ პროგრამის ეს სიტყვები ფრთებს გვასხამს და ძალას გვმატებს.

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲚᲝᲛᲘᲐ.
ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ოსტატი, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატი.

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲔᲠᲘᲝᲓᲝ

— **ᲠᲘᲗ** მივდიხართ ყრილობაზე? — უკანასკნელ დღეებში უფრო მეტად მაღელვებს ეს კითხვა.

გავაკეთე თუ არა ყოველივე ის, რასაც ჩვენ წინაშე, თვითეული კომუნისტი კოლმეურნის წინაშე აყენებს პარტია?

რა თქმა უნდა, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატებს შორის შეხვდები ადამიანებს, რომელთაგან ვისწავლი, თუ უკეთესად როგორ მოვაწყოთ შრომა, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. ყრილობაზე დასწრება კი ჩემთვის ხომ მთელი სკოლა იქნება!

ყრილობის დელეგატად რომ ამირჩიეს, პირველად, ცოტა არ იყოს, დავიბენი. მე ხომ ასე დიდი ნდობა გამომიცხადეს! მაგრამ ცოტათი მათამამებს ის, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ყოველწლიურად აღმავლობის გზით მიდის, ხოლო კომუნისტები, რომელთა წინამძღოლიც მე ვარ, საქმის სული და გული არიან.

მეტი პროდუქტების წარმოებაში სხვა კოლმეურნეებთან ერთად მეც მაქვს შეტანილი მცირეოდენი წვლილი. შარშან ერთ ჰექტარ სიმინდის ნათესს ვუვლიდი, არ დამიკლია მორწყვა თუ ხელოვნურად დამტვერვა, სამჯერ გავთოხნე და გამოვკვებე. შედეგიც ცუდი არ იყო — 121 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მივიღე. 0,3 ჰექტარ მაქრის ჰარბალსაც ვუვლიდი. ჰექტარზე გადაანგარიშებით 780 ცენტნერი ჭარხალი მოვიყვანე.

ჩემი მომავალი მუშაობის მიზანი ის არის, რომ კვლავაც კარგი პირადი მაგალითი მივცე ჩემს თანამოსაქმეებს, ეს კი თავის მხრივ საწინდარი იქნება იმისა, რომ ამხანაგები პატივს მცემდნენ და მენდობოდნენ, რაც მეტად საჭიროა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნისათვის.

ამჟამად ჩვენი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია თავის ძალებს ანაწილებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს გაზაფხულს. სანამუშოდ მოეწყოს კოლმეურნეობაში ყველა საზამთრო სამუშაო. პროპაგანდას ვუწევთ ქიმიის ცოდნას, წესრიგში მოგვყავს ტექნიკა, ერთი სიტყვით, მობილიზაციას ვუკეთებთ ყველა რეზერვსა და საშუალებას მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის საიერიშოდ.

Გ. ᲛᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ხაშურის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანი, საქართველოს კპ XXII ყრილობის დელეგატი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

2,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲗ

ᲡᲝᲩᲘ, 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲫᲔᲡᲘ). XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ 3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ 185 ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 2,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲐᲮᲚᲔᲡᲐᲜ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ 155 ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ 2.314.800 ᲪᲐᲚᲘ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ 3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ 39 ᲗᲝᲛᲐᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲜᲘᲡ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ 13 ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲥᲕᲔᲣᲚᲘᲐᲗᲔᲑᲘᲗ 3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ.

ᲒᲠᲝᲨᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲫᲔᲡᲘ). ᲐᲮᲚ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲡᲐᲮᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ (ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲗᲐ) ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲜᲘ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲐᲚᲫᲘᲠᲘ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. საკდესის კორესპონდენტი ა. ტოკარევი იუწყება:

გუშინ ალუირში ჩამოვიდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, რომელიც ცალნი მიემგზავრება. მის შეხვედრად ალუირის დედაქალაქის ასობით მცხოვრები შეიკრიბა აეროდრომზე.

3. ნიკოლაევა-ტერეშკოვას გულთბილად მიესალმა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ახალგაზრდული მოძრაობის მდივანი სადეკ ბატელი.

ხანმოკლე დასვენების შემდეგ ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა მივიდა ეოლის ვილაში, სადაც იგი მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰამედ ბენ ბელამ. გაიმართა მეგობრული, გულთბადი საუბარი.

ბამაკო, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, რომელიც აქ-რაში მიემგზავრება.

ბამაკოში საბჭოთა გმირ ქალს აღტაცებული შეხვედრა მოეწყოს. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას შესახვედრად მოვიდა აეროდრომზე მალის ქალთა დელეგაცია სუდანის კავშირის პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრის აუა კეიტას მეთაურობით.

აკრა, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესი). განის პრეზიდენტის კვამე ნკრუმას მოწვევით აქ ჩამოვიდა პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲔᲜ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესი). თეთრმა სახლმა დღეს გამოაქვეყნა ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლ. ჯონსონის საპასუხო წერილისა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი. „მე მივესალმები მიზანს, რომელიც ჩამოყალიბებულია თქვენს 31 დეკემბრის წერილში, და ვეთანხმები წერილის შინაარსის მნიშვნელოვან ნაწილს, აცხადებს ჯონსონი, — იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ ვეწეოდეთ აღმშენებლობას თუ საფუძველად მივიღებთ შეთანხმებას ამ საკითხებზე, ნაცვლად იმისა, რომ ხაზი გავუსვათ ჩვენს კარგად ცნობილ უთანხმოებებს“.

„თქვენს წერილში, — აღნიშნავს შემდეგ ჯონსონი, — გამოყოფილია ტერიტორიული დავის პრობლემა და გამოტანილია დასკვნა, რომ „ძალის გამოყენება ტერიტორიული დავის გადასაჭრელად არ შეესაბამება არც ერთი ქვეყნის არც ერთი ხალხის ნამდვილ ინტერესებს“. მე გეთანხმებით ამაში“.

ჯონსონი, რომელიც აცხადებს, რომ ეთანხმება ამ პრინციპს, ამასთანავე აყენებს მთელ რიგ საკუთარ დებულებებს ამ საკითხზე. იგი აცხადებს, რომ უახლოეს ხანში ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ მოკავშირეებთან ერთად წამოაყენებენ კონკრეტულ წინადადებებს ამ დებულებათა სულისკვეთებით. პრეზიდენტის წინადადებაა აგრეთვე არ დასჯერდნენ „განცხადებებს პრინციპების შესახებ“ და გულმოდგინედ იმუშაონ კონკრეტულ პრობლემებსა და წინადადებებზე“.

„შეთანხმება არ უნდა იყოს შეუძლებელი ამ ან სხვა წინადადებათა შესახებ, — აცხადებს დასასრულ პრეზიდენტი ჯონსონი, — და მე ვიზიარებ თქვენს იმედს, რომ ასეთი შეთანხმება სტიმულს მისცემს განიარაღებასა და მშვიდობიან ურთიერთობას. ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ჩემი ყველაზე მხურვალე სურვილია მივაღწიოთ კონკრეტულ პროგრესს მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე. იმედი მაქვს, რომ წერილების ეს გაცვლა რეალურ იმედს შექმნის ასეთი პროგრესისათვის და რომ ამ იმედს იზიარებს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი ყველა ქვეყანაში“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა წერილი შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და პრეზიდენტთან არსებული ეკონომიური საბჭოს ყოველწლიური მოხსენება.

პრეზიდენტის წერილში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში შეერთებული შტატების მთლიანი ეროვნული პროდუქტი 16 პროცენტით გადიდდა, სამრეწველო წარმოება 23 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კორპორაციათა მოგება 44 პროცენტით გადიდდა.

ამ მონაცემების შეფასების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ შედარება ხდება 1961 წლის დამდეგის ეკონომიურ მაჩვენებლებთან, როცა ამერიკის ეკონომიკა გახიცდიდა ომისშემდგომი წლების მანძილზე სათვალავით მესამე ეკონომიურ დაქვეითებას.

ამიტომ გასაოცარი არ არის, რომ პრეზიდენტის წერილში და პრეზიდენტთან არსებული ეკონომიური საბჭოს მოხსენებაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობანი მთლიანად არ არის გამოყენებული. „ჩვენი მიღწევები წარმოებისა და დასაქმების დარგში, — ნათქვამია პრეზიდენტის წერილში, — საკმარისი არ არის, 4 მილიონი უმუშევარი და ის, რომ საწარმოო სიმძლავრეთა 13 პროცენტი გამოუყენებელია, — შეუწყნარებელია“.

პრეზიდენტის ეკონომიური მრჩევლები თავიანთ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ წარმოების ზრდის ახლანდელი ნელი ტემპის შენარჩუნების პირობებში შეუძლებელი იქნება „ახლანდელი მეტისმეტი უმუშევრობის“ შემცირება.

ისევე როგორც ამასწინანდელ წერილში შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ, პრეზიდენტის წერილშიც ამ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ დიდი ყურადღება ეთმობა სიღატაკის პრობლემას შეერთებულ შტატებში. შეერთებული შტატების მოსახლეობის თითქმის მეხუთედი — 33-35 მილიონი ამერიკელი სიღატაკეში ცხოვრობს, და ლაპარაკი ცხოვრების ყველზე მაღალი დონის შესახებ მსოფლიოში მათთვის, ჯონსონის გამოთქმით, „ფუჭი სიტყვებია“. „ისინი ხშირად ცხოვრობენ უთანდოდ, ისე, რომ ადამიანი ვერ „ეკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებსაც კი“, — აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

სიღატაკეს, ხაზგასმულია პრეზიდენტის წერილში, თან სდევს უმეცრება და უფლებრივობა. ღარიბების და ღარიბთა ბავშვების ჯანმრთელობა ცუდია, მათ „არა აქვთ სპეციალობა. ამერიკის „ფერადკანიანი მოსახლეობის“ 45 პროცენტი ღარიბები არიან. არათეთრკანიანთა მხოლოდ 40 პროცენტს აქვს საშუალო განათლება.

თავისი წერილის დასასრულს პრეზიდენტი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში იგი წამოაყენებს სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამას.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲒᲖᲔ

□ **ᲑᲔᲚ�გᲘᲘᲡ** მთავრობამ უარი განაცხადა მოწაფეობა მიიღოს ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნაში. ეს თქვა ეროვნული თავდაცვის მინისტრმა სეგერსმა. ბელგიის მონაწილეობა მრავალმხრივი ძალების შექმნაში, თქვა მან, მის ხარჯებს 2 მილიარდი ფრანკით გაადიდებდა.

□ **ᲐᲗᲐᲡᲖᲔ** მეტმა ინდონეზიელმა ჰაბუმმა და ქალაქშვილმა ინგოლისის ჯაკარტის საელჩოს შენობის წინ გამართა დემონსტრაცია მალაიზიაში ინგლისელ კოლონიზატორთა მანევრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მოგვიანებით დემონსტრანტები გაემართნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსაკენ, რათა თავიანთი გულისწყრომა გამოეთქვათ იმის გამო, რომ ამერიკის მთავრობას განზრახსა აქვს ინდოეთის ოკეანის წყლებში გაგზავნოს მე-7 ფლოტი.

□ **ᲯᲐᲛᲘᲢᲘᲡ** მთავრობამ ბრძანება გასცა ამ ქვეყნის პროფკავშირული გაერთიანების დაშლის შესახებ.

ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲐ!

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ საზოგადოებრიობა კვლავ გულისწყრომით გმობს ამერიკის ხელისუფალთა სისხლიან თვითნებობას პანამაში. მთელი პროგრესული კაცობრიობა მხარს უჭერს პანამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას გადაისინჯოს კაბალური ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებთან პანამის არხის შესახებ, მოითხოვს მკაცრად დაისჯონ დამნაშავენი ჩადენილი დანაშაულისათვის.

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. ამერიკის მხედრიონის მიერ პანამის მშვიდობიანი მოსახლეობისადმი სისხლიან თვითნებობასთან დაკავშირებით პანამის საელჩომ არგენტინაში გააკეთა ოფიციალური განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პანამა „თავისუფალი და სუვერენული ქვეყანაა“! და რომ „როგორც იქ მომხდარი ამბების დროს და შემდეგაც პანამის მთავრობას არ უთხოვია მის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ უცხოთის ჯარები“. ამერიკის ჯარების მოქმედებამ, ხაზგასმულია განცხადებაში, საფრთხე შეუქმნა მშვიდობასა და უშიშროებას ლათინურ ამერიკაში.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ბულგარეთის მუშებისა და მოსამსახურეების სახელით უაღრესად ენერგიულ პროტესტს გამოთქვამს პანამის მიწაზე ამერიკელ ოკუპანტთა თვითნებობის წინააღმდეგ. ბულგარელი მშრომელები, ნაოქვამია დეპეშაში, უსიტყვოდ მხარს უჭერენ პანამელი ხალხის მოთხოვნებს, რომელიც კაბალური ხელშეკრულების გაუქმებისათვის იბრძვის, და გმობს ამერიკელ იმპერიალისტებს.

ᲞᲐᲜᲐᲛᲐ — ᲞᲐᲜᲐᲛᲔᲚᲔᲑᲡ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ: — მდგომარეობა ჩვენს ხელშია.

კამბის ნახატი, გამოქვეყნებული ფრანგულ გაზეთ „ლუმანიტეში“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲒᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲞᲐᲜᲐᲛᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. „პანამაში მოსალოდნელია გადატრიალება“, „ჩიარის მთავრობა საფრთხეშია“. ასეთი სათაურებით გამოვიდა ვაშინგტონის გაზეთები „დეილი ნიუსი“ და „ივნინგ სტარი“.

როგორც ამ გაზეთების კორესპონდენტები პანამიდან იუწყებიან, შეერთებული შტატები ემზადებიან სამხედრო გადატრიალება მოახდინონ პანამაში „პანანის დიპლომატის“, ტრადიციული კანონებით, რათა შეეცადონ შიგნიდან ჩაახშონ პანამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჯერ კიდევ 16 იანვარს ფრთხილად აღნიშნა ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ, რომ ასეთი განზრახვა აქვს ვაშინგტონს. ახლა ამერიკის ბევრი გაზეთი თითქმის აშკარად წერს, რომ მზადდება მეთქმეულება ჩიარის მთავრობის წინააღმდეგ.

„შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ, რომ გამოსწორონ თავიანთი ურთიერთობა პანამასთან და უზრუნველყონ, რომ ნაკლებად იწვევდეს პერიოდულ გამწვავებას“, — აცხადებს თავის კომენტარებში სკრიპს-ჰოვარდის სააგენტოს ტრესტის დიპლომატიური მიმოხილველი რ. შეკფორდი.

პანამაში, იუწყება გაზეთ „დეილი ნიუსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი, ძლიერდება ხმები იმის შესახებ, რომ გადატრიალების შედეგად ახალი „ძლიერი ადამიანი“ იქნება არსი, რომელიც მეთაურობს პანამისტთა პარტიას და პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია მომავალ არჩევნებში.

ვინ არის არიასი? „იგი, — წერს ვაშინგტონის „ივნინგ სტარი“, — ორჯერ იყო პანამის პრეზიდენტი — 1941 და 1951 წლებში და ორივეჯერ ჩამოგდო ეროვნულმა გვარდიამ იმ-ცდების გამო, რომ დაემყარებინა დიქტატურა, რომელიც საეჭვოდ ჰგავდა ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტურ რეჟიმს“.

ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲡᲔᲣᲚᲨᲘ

□ **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ** შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი რ. კენედი სეულში ჩავიდა. იგი მოლაპარაკებას აწარმოებს სამხრეთ კორეის პრეზიდენტ პაკ ჯონ ხისთან. მოლაპარაკების შემდეგ რ. კენედის განზრახული აქვს მანილას გაფრინდეს.

ᲛᲫᲙᲘᲪᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესი). პანამის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკილინო ბოიდმა განაცხადა: ბოლო უნდა მოეღოს შეერთებული შტატების მიერ პანამის არხის ექსპლოატაციას და უნდა განისაზღვროს პანამისათვის არხის გადაცემის დრო. აკილინო ბოიდმა აღნიშნა, რომ 1903 წლის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შეერთებულ შტატებს მიენიჭათ არხის ექსპლოატაციის საუფლებო უფლებანი, ძალდატანებით მოახვიეს თავი პანამის. მან ამ ხელშეკრულების საბოლოოდ გაუქმებული.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესი). შეერთებულ შტატებმა, რომლებიც შეწუხებული არიან იმით, რომ ჩაიფუშა სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ხუნტის ცდა გაეტეხათ პატრიოტთა წინააღმდეგობა, ახალი სამხედრო დემონსტრაცია მოაწყეს სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებთან. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დღეს საიგონის აეროპორტ „კეთილი ნების“ ვიზიტად ჩავიდა ამერიკის მე-7 ფლოტის საფლაგმანო ხომალდი „კრეიფერი „პროვიდენსი“. გიგანტურ სამხედრო ხომალდს, რომელის წყალწყვა 12 ათასი ტონაა, როდესაც იგი საიგონს მიადგა, იცავდა უამრავი ავიაგამანადგურებელი.

როდესაც „კრეიფერი მდინარით საიგონისაკენ მიდიოდა, მასზე ვერტმფრინავები დაფრინდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სამხრეთ ვიეტნამში ლოჯი. ორი საათის განმავლობაში იგი ეთათბირებოდა მე-7 ფლოტის სარდალს ვიცე-ადმირალ მერერს. ამ საღამოს თათბირზე დასწრების ნება არ დართეს ხომალდის ზოგიერთ ოფიცრებსაც კი.

ფლოტის სარდლობის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ ხომალდი საიგონში სამ დღეს დარჩება. მან არ დაამოწმა აღინიშნა აგრეთვე, რომ მე-7 ფლოტს შეეშალა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის 24 ათასი ჯარისკაცი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სწრაფად იქნენ გადაყვანილი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის შფოთიან რაიონებში“.

ფლოტის სარდალმა ვიცე-ადმირალმა მერერმა განაცხადა, რომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებს ზიონგ ვან მინთან და სამხრ

შთაგონებული ხელოვნება

ბოლო უპირატესად ასპაზია პაპატანასიუს მედეაზე, იმის გამო კი არა, რომ ევრიპიდეს სცენურ ქმნილებაში მთელი ყურადღება ერთიანად მედეასადმია მიქცეული, არამედ იმის გამო, რომ პიროველსავე წარმოდგენაზე მაყურებელთა მთელი ინტერესი მიიპყრო მსახიობმა ქალმა — ტრაგიკულის გამომსახველი საზღაპრო ძალღონით, ქალური მომხიბვლელობის და გმირული შემართების ულამაზესი შერწყმით, ვნებათა ქარიშხლის გულისშემძვრელი გამოსახვით და სადა, ნათელი, აზრიანი გარდასახვის დიდებულებოვანობით.

თანაც მთელი წარმოდგენა რეჟისორ-დამდგმელის დიმიტროს რონდირის მიერ ისეთი ოსტატობით არის წარმართული და ასპაზია პაპატანასიუს მიერ მედეა ისეთი ორტისტული სიზუსტით, ზომიერებით და ტრაგედიის მთლიანობაში გამოხატვის გრძნობით არის გამოკვეთილი, რომ მაყურებელთა დარბაზი მთლიანად ტრაგედიის განცდითარებას იყო გრძნობამიცემული და ვერ ურიგდებოდა პირველ რიგში მყოფი მაყურებლის ტაშისკენ, რომელსაც მთელი დარბაზისაგან გამოყოფით სურდა ცალკე მონოლოგების კითხვა-წარმოსახვის ხილვით აღტაცება გამოეხატა.

ჯერ სცენაზე არც კი იყო შემოსული, მხოლოდ ხმა შემოგვესმა ასპაზია პაპატანასიუს მედასი, ხმა — გოდებით მოთქმისა, ხმა შეკიდებით წყეულა-კრულვისა, და უკვე იგრძნობოდა გოლიათი ხელოვანი ქალის მიერ ტრაგიკულის გამომსახველი ძალის სიმძაფრე.

და აი გამოჩნდა იგი მეწამული ფერის ტანსაცმლით. მის სხეულში ანტიკური ქანდაკების გამომიტყვილი ძალა არის ასოლდგმულებული, კეთილშობილებით წარმოსადეგი, სილამაზის და ადამიანური ღირსების განზოგადებული ხატება. პირველი წუთებიდანვე გვრძნობთ, რომ ასპაზია პაპატანასიუს მომხიბვლელ სცენურობას თან ერთვის პლასტიკური გამომსახველობის დიდი ძალა. და მართლაც, ვის დაავიწყდება, როდესაც შურისძიებით აწყდილი მისი ხელები ყველასთვის გასაგები ენით საოცრად მოთქვამდნენ და ქადაგებდნენ. ასპაზიას მედეა ყოველთვის უზადო სილამაზედ რჩება — დგას თუ ზის, ყოველთვის ადამიანური ღირსების სიამაყით გამომსახველია — კედელზე ხელაპყრობით არის მიყრდნობილი თუ ეაებასაგან შეძრწუნებული იატაკზეა გართხმული, დარა ოსტატობით ატარებს ტანსაცმელს, თითქოს ჯადოქარიაო, ისე ეპორჩილება მას ქსოვილი, მისი ნებისამებრ იშლება და სილამაზედ ძირს ეფინება.

ასპაზია პაპატანასიუს ხელოვნებას აგვერგვნებს მისი ოსტატობა — თავი გაართვას უძნელეს და ურთულეს გადასვლებს. ქარიშხლიანი ვნებათაღელვიდან, შეურაცხყოფილ მეუღლის გაბოროტებული მოთქმიდან ეს შთამბეჭდავი სახეცვლილებით გადადის დედაშვილური ალერსის, უფაქიზეს და უნაზეს გრძნობათა გულისშემძვრელ გამოხატვაზე.

ყველაზე დიდი ჯილდო პირველ თეატრისა, მისი ხელმძღვანელის დიმიტროს რონდირასისა, ჭორეოგრაფ ლოკრასი, ასპაზია პაპატანასიუსისა, მთელი დასისა და ქალთა ფერხულისათვის ეს უნდა ყოფილიყო, რომ, თუმც მაყურებელთა დარბაზს, რასაკვირველია, პირველი ნიშანია, თუ რაოდენ დიდებულებოვნად და მხატვრულად ღრმაზროვანი, გულში ჩაწვდომი და ესთეტიკურად წარმტაცი იყო სცენაზე განსახიერებული ცხოვრება, რაოდენ თანამედროვე ეღერადობა მოუპოვეს სპექტაკლს შემოქმედ-შემსრულებლებმა და ახლობელი გახადეს ძველთაძველი ტრაგედია ჩვენი დროის მაყურებლებისათვის. ამასთანავე განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მხატვრული ტაქტი, სტილის გრძნობა და მოკრძალება — ტრაგედიის არც ერთი ხაზი, არც ერთი ნაკვეთი არ არის შებღალული ცრუნოვატორობის მცთუნებელი ეკით.

დიდად დასაფასებელია წარმოდგენის მხატვრული სასადაგი, მონუმენტალობის და ტრაგიკულის წარმომსახველი რეჟისორული ოსტატობა, ქების ღირსია ლექსის რიტმის მოძრაობით პოეტურად მეტყველი ქალთა ფერხულის (მეთაურები: მ. გეორგიდუდა ე. კონსტანტინე) სიმწყობრე და ტრაგედიის მსვლელობასთან შეთანხმოვნება. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ა. ქსენაკისმა (იასონი) და ნ. პაჯისკოსმა (მაცნე), ე. მესიდისმა (კრეონი) და დ. მალაკეთასმა (ეგეოსი), ე. ზერეგამ (ძიძა) და კ. გალანაკისმა (აღმზრდელი), და რაც მთავარია, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მსახიობ-შემსრულებელთა ურთიერთატკბილვის, კოლექტიურობის გრძნობა.

წარმოდგენის დასასრულს, შეეკითხდი თუ არა მთელი დარბაზის მომცველ ტაშისკენმას, ერთმა სურვილმა შემოპყრო — ერთსულოვანი აღტაცება თაიგულად შემეკონა და მოკრძალებით მიმერთმია ბერძნული ტრაგიკული თეატრის მშვენებისათვის. რომლის სახელია ჩვენთვის უკვე ახლობელი — ასპაზია პაპატანასიუ. მან ხმა იტირა, როგორც ქართველმა დედამ, მან ხმა არგონავტებისაგან მოტაცებულ მედეას სახე ახალ კოლხიდას დაობრუნა.

დ. ჯანელიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათზე: ასპაზია პაპატანასიუ — მედეა.

„ელექტრა"

სოფოკლეს ტრაგედია—პირველთა ახალი სპექტაკლი

თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე წარმატებით გრძელდება ქალაქ პირეის „ბერძნული ტრაგედიის თეატრის" გასტროლები. მაყურებელმა ინტერესით მიიღო პირველთა პირველი წარმოდგენა — ევრიპიდეს „მედეა".

გუშინ თბილისელები გაიცნენ ბერძენი მსახიობების ახალ სპექტაკლს. წარმოდგენილ იქნა ანტიკური დრამატურგიის დიდი ტრაგიკოსის სოფოკლეს ცნობილი ტრაგედია „ელექტრა".

როგორც პირველი, ისე მეორე სპექტაკლის დამდგმელია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი დიმიტროს რონდირისი.

მაყურებელი კვლავ მოხიბლა მთავარი გმირის — ელექტრას როლის შემსრულებელმა, დიდმა ტრაგიკოსმა მსახიობმა ასპაზია პაპატანასიუმ. სპექტაკლში აგრეთვე მონაწილეობდნენ ა. ქსენაკისი, ნ. პაჯისკოსი, ე. რიგა, ტ. ნიკიფორაკი, დ. მალავეტასი, კ. გალანაკისი.

მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ასპაზია პაპატანასიუს ელექტრას როლის შესრულებისათვის 1960 წელს პარიზის საერთო თეატრის პირველი პრემია მიენიჭა.

„ელექტრა" ანტიკური სულით გამსჭვალული ნამდვილად დიდი სპექტაკლია. როდესაც ამ ნიჭიერი კოლექტივის ხელოვნებას ეცნობით, გასაგები ხდება, თუ რით მოიპოვა „ბერძნული ტრაგედიის თეატრმა" მსოფლიო სახელი და აღიარება.

3-პროცენტიანი სესხის მოგებათა ტირაჟი

საქართველოს მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს 3-პროცენტიანი სესხის ობლიგაციები. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო გასულ წელს მოსახლეობას მიეყიდა 6 მილიონ 309 ათას 490 მანეთის ობლიგაციები. ავხაზეთის მშრომელებმა ობლიგაციები შეიძინეს 679 ათასი მანეთისა, აჭარის მშრომელებმა — 312 ათასი მანეთისა. თბილისელებმა 3-პროცენტიანი სესხის 2 მილიონ 294 ათას 500 მანეთის ობლიგაციები იყიდეს.

მომდინარე წლის 30 იანვარს ქ. მოსკოვში გაიმართება ამ სესხის მოგებათა მორიგი, 97-ე ტირაჟი. მარტო ამ ტირაჟში გათამაშდება 7 მილიონ 905 ათას 340 მანეთის 144300 მოგება. სესხით შეიძლება 40-დან 5000 მანეთამდე მოგება.

მომდინარე წელს გაიმართება ამ სესხის მოგებათა კიდევ 6 ტირაჟი. მე-100 — „სიუბილეო" ტირაჟი გაიმართება ქ. თბილისში 1964 წლის 30 ივლისს.

საქართველოს მშრომელებმა გასულ წელს სესხის ობლიგაციებზე მიიღეს 2 მილიონამდე მანეთი მოგება. ბევრმა მიიღო დიდი მოგება — 5000, 2500 და 1000 მანეთი.

ა. შტეინბერგი.

ბაკურიანში. ფოტოეტიუდი გ. ჯაყელისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მკითხველთა კალმით

☐ **ახალქალაქის** რაიონის სოფელ სალამოს მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტმა ვ. თანგამანაძმა რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა 3-პროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ორი ობლიგაცია **010836** სერიის **№ 012** და **010906** სერიის **№ 012**, რომლებსაც ხვდა ათას-ათასი მანეთი მოგება.

სოფლის მექანიზატორმა ობლიგაციით მოგებულ თანხას საკუთარი დანაზოგი დაუმატა და შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა".

მ. შალიკაშვილი.

☐ **გურჯაანის** რაიკოოპკავშირის გამგეობამ ვაზისუბანში გახსნა წიგნის მაღაზია საზოგადოებრივ საწყისზე. სახლში მაღაზიას კომკავშირელები თ. ბერიაშვილი, ს. ონაშვილი, ქ. ხუსკივაძე, ა. მამაჯანოვი და ო. ოსეფოვი ხელმძღვანელობენ.

მაღაზიაში იყიდება დიდძალი პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ლიტერატურა.

ი. გოგსაძე.

☐ **ქოგულეთის** ავტო-მოტოსკოლამ ქედაში გახსნა მესამე კლასის ავტომძღოლთა ხუთთვიანი კურსები. ავტოსაქმეს ეუფლება ათობით კაცი. ამას წინათ სკოლამ მესამე კლასის მძღოლები მოამზადა აგრეთვე ხულოში.

ნ. გათენაძე.

☐ **დაბა** აბაშის კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა სიმონ მთვარაძის სამმოქმედებიანი დრამა „სახსოვარი". სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. თოდუამ. მხატვრობა ეკუთვნის კ. გაგუას. როლები შეასრულეს ლ. გაბოკიძემ, ფ. ხორავამ, მ. ლოჩოშვილმა, ლ. კუპუხიძემ და სხვ.

ვ. თოფფერია.

45720!

მართალი ამბავი

ქუთაისში ჰავეჰავაძის ქუჩის დასაწყისში სახადილოში შევედი. მაგიდას მე და ერთი ხანში შესული კაცი მივუსხდით და მომტანის მოლოდინში ერთმანეთს გამოველაპარაკეთ.

— ქალაქ ტულიდან ვარ, — მითხრა მან. — წყალტუბოში ამბანებით ვმკურნალობდი, ამალამ ვაპირებ წასვლას.

—საქართველოში პირველად ხართ?

— შეველეოთხე.

— წარმოდგინეთ, არა. პირველი მსოფლიო ომის დროს მეფის ჯარში თბილისსა და ბათუმში ვმსახურობდი, მაგრამ ცოტა ხანს სულ რაღაც ორ-სამ თვეს. მერე კი ფრონტზე გვიკრეს თავი.

— ალბათ ქართველი მეგობრები გეყოლებათ.

— როგორ არა, მყავდა, მაგრამ მას შემდეგ ორმოცდაშვიდმა წელმა გავლო, მათი მისამართებიც დამეკარგა.

ამასობაში პური მოგვიტანეს და მზარეულის ხმაც გაისმა:

— შეკვეთა მზად არის, წაიღეთ!

ახლად გაცნობილი შეკრთა, მზარეულს, რომელიც ოთხკუთხა სარკმელს დაყურდნობოდა. მზერა მიაპყრო, წამოდგა, მომტანი მოიხმო და რაღაც წასჩურჩულა...

— დიახ, ვანო ჰქვია, — უთხრა მომტანმა.

— უხერხული თუ არ იქნება, ერთი წუთით სთხოვეთ მზარეულს.

— სიამოვნებით!

— მაპატიეთ, მეგობარო, — მოკრძალებით მითხრა მოხუცმა, — არა მგონია ვცდებოდე. ნამდვილად ის არის.

შეეერცხლილ წვერულვაშიანი სანდომიანი ვაუკაცი მოუახლოვდა ჩვენს მაგიდას და იკითხა:

— რომელი მკითხულობდით, მზარეული გახლავართ!

— მე გიკითხეთ! — ხანში შესული მიუახლოვდა მზარეულს და გამოეჭიმა, — ვერ მიცანით?!

— მაპატიეთ. მაგრამ ვერ გიცანით.

— რევსკის მეშვიდე ქვეითი პოლკის მეთოთხმეტე ასეულის მეოთხე ათეულის ჯარისკაცო გიორგაძე. მომახსენე შენი შაშხანის ნომერი! — და ხელში კოვზი მიაჩეჩა.

— 45720!

— ოქვენს წინაშეა მისი აღმატებულება, ათმეთაური, ეფრეიტორი პოკადიევი! — სიცილი წასკდა, — ახლა მიცანი?

— პეტია! — იყვირა ივანე ონისიმეს-ძე გიორგაძემ და მეგობარს გადეეხვია.

გ. კაპიაშვილი.

პრემიერა ნორჩეგისათვის

ნაყოფიერად მუშაობს ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. გასულ წელს თეატრმა მრავალი დადგმა განახორციელა, რომლებიც გულთბილად მიიღო სკოლამდელი ასაკის მაყურებელმა.

ამას წინათ კიდევ ერთი ახალი წარმოდგენით გაიხარეს პატარებმა. მათ ნახეს ს. ჭეიშვილის „დაიყივლე, მამალო". დადგმა განახორციელა რეჟისორმა ლ. შენგელიამ. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. ბერეჩიკიძეს, მუსიკის ავტორია გ. ჩირაძე.

ივ. გუხაიძე.

ახალი საბავშვო შენობა

ზუგდიდი. (საკ. კორ). მწყობრში ჩადგა კურორტ ცაიშის კომფორტაბელურად მოწყობილი საბავშვო შენობა საბავშვოში მუშაობს შხაპები, მასაჟის კაბინეტი, სამკურნალო ფიზკულტურის აუზი, ოთხკამერიანი აბაზანა, ინჰალაცია და სხვ.

მუშაობა დაიწყო აგრეთვე 200-საწოლიანმა პანსიონატმა და კოლიკლინიკამ.

კოლიკლინიკაში დაიდგა რენტგენის აპარატი, ახალი სამკურნალო ჯიბგზსტიკური აპარატურა-მოწყობილობა.

პირველ ადგილზე რესპუბლიკაში

საჩხერე. (საკ. კორ.). სანიმუშოდ მუშაობს სოფელ ხრეითის ა. ჯფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მოხალისეთა სახანძრო დაცვის რაზმეული (უფროსი დ. ლოლაძე). იგი ჩაბმული იყო სოფლად სახანძრო დაცვის საუკეთესოდ დაყენებისათვის გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც გასულ წელს მოაწყო საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველომ.

ახლახან შეაჯამეს კონკურსის შედეგები. რეპუბლიკაში პირველი ადგილი მიეკუთვნა საჩხერის რაიონის სოფელ ხრეითის კოლმეურნეობის მოხალისეთა სახანძრო რაზმეულს. იგი დაჯილდოებულია სახანძრო დაცვის სამმართველოს სიგელით, მოტოტუმბო „მ-1.200"-ით და 500 მანეთი ფულადი პრემიით.

სახანძრო დაცვის რესპუბლიკური საამმართველოს სიგელით დაჯილდოებულია აგრეთვე სოფელ ხრეითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ. ჯაფარიძე.

„ელექტრა"

სოფოკლეს ტრაგედია—პირველთა ახალი სპექტაკლი

თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე წარმატებით გრძელდება ქალაქ პირეის „ბერძნული ტრაგედიის თეატრის" გასტროლები. მაყურებელმა ინტერესით მიიღო პირველთა პირველი წარმოდგენა — ევრიპიდეს „მედეა".

გუშინ თბილისელები გაიცნენ ბერძენი მსახიობების ახალ სპექტაკლს. წარმოდგენილ იქნა ანტიკური დრამატურგიის დიდი ტრაგიკოსის სოფოკლეს ცნობილი ტრაგედია „ელექტრა".

როგორც პირველი, ისე მეორე სპექტაკლის დამდგმელია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი დიმიტროს რონდირისი.

მაყურებელი კვლავ მოხიბლა მთავარი გმირის — ელექტრას როლის შემსრულებელმა, დიდმა ტრაგიკოსმა მსახიობმა ასპაზია პაპატანასიუმ. სპექტაკლში აგრეთვე მონაწილეობდნენ ა. ქსენაკისი, ნ. პაჯისკოსი, ე. რიგა, ტ. ნიკიფორაკი, დ. მალავეტასი, კ. გალანაკისი.

მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ასპაზია პაპატანასიუს ელექტრას როლის შესრულებისათვის 1960 წელს პარიზის საერთო თეატრის პირველი პრემია მიენიჭა.

„ელექტრა" ანტიკური სულით გამსჭვალული ნამდვილად დიდი სპექტაკლია. როდესაც ამ ნიჭიერი კოლექტივის ხელოვნებას ეცნობით, გასაგები ხდება, თუ რით მოიპოვა „ბერძნული ტრაგედიის თეატრმა" მსოფლიო სახელი და აღიარება.

შირალი მუსლიმოვი 158 წლისაა

აზერბაიჯანის მაღალმთიან სოფელში ცხოვრობს პუშკინისა და ლერმონტოვის თანამედროვე — 158 წლის **შირალი მუსლიმოვი.** რუსეთში სოციალისტური რევოლუცია რომ მოხდა, მაშინ შირალი 100 წლზე მეტი ხნისა იყო. მას პირადად არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში, მაგრამ მისმა ოთხმა შვილმა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა სიცოცხლე.

როცა სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, შირალი მუსლიმოვი პირველი შევიდა. დღეს 158 წლის მოხუცი ჯანსაღად გრძნობს თავს. მას შეხვდებით საძოვრებზე, ფერმებსა და მინდვრებში.

შირალი მუსლიმოვის ცხოვრების ხანგრძლივობას ხელს უწყობდა ფიზიკური შრომა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა. შირალი მუსლიმოვს არასოდეს არ მოუწევია თამბაქო, არ ეტანებოდა სპირტიან სასმელს. იკვებება ყოველთვის განსაზღვრულ დროს. მისი საკვები უბრალოა: რძის პროდუქტები, ჩაი, ბოსტნეული, ხილი, ხორცი...

შირალი მუსლიმოვს დღეღამეში 7-8 საათი ძინავს. დღისით განსაზღვრულ დროს სეირნობს სუფთა ჰაერზე. ამ მოხუცის შთამომავლობაა 150 კაცი.

„სელსკაია ჟიზნ".



ცა შავია... რაჭომ?

საინტერესო ამბების სამყაროში

ამ კითხვაზე პასუხი თითქოს ბუნებრივია — უმთავრო ღამეში ცას მხოლოდ ვარსკვლავების სუფთა შუქი ანათებს. მაგრამ თურმე საქმე ასე მარტივი როდია. სამყარო ხომ უსასრულოა და, მაშასადამე, იქ ყველგან არიან ბნელი ვარსკვლავები. და თუ ასეთი ვარსკვლავები აუცილებელია, ღამის ცა ნაკლებად არ უნდა ბრწყინავდეს, ვიდრე მზის ზედაპირი. ხოლო ვარსკვლავთა გამოსხივების შედეგად ტემპერატურა ჩვენთან დედამიწაზე განსაკუთრებით მაღალი უნდა იყოს. მაგრამ ყოველივე ეს არ არის. რატომ?

ეს პასუხი შედარებით ცოტა ხნის წინათ იქნა მიღებული. და მხოლოდ ახლა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ასტროფიზიკის ლაბორატორიაში ელექტრონული გამოსათვლელი მანქანებით მათემატიკურად განგარიშებულ იქნა ღამის ცის სხვადასხვა ზომის სიშავე სხვადასხვა ტალღებისათვის.

რატომ არ ბრწყინავს ცა დამაბრმავებლად? ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ვარსკვლავთა შორეული სისტემები — გალაქტიკები შორდებიან ერთმანეთს და გვშორდებიან ჩვენც. რაც უფრო დიდია მანძილი გალაქტიკამდე, მით უფრო სწრაფად გვშორდება იგი. ამჟამად აღმოჩენილია გალაქტიკები, რომლებიც შუქის სისწრაფის თითქმის ნახევარი სისწრაფით გვშორდებიან! თუ შუქის წყარო გვშორდება, მისგან ჩვენკენ მომავალ შუქტალღებს რხევათა ნაკლები სიხშირე აქვთ და, მაშასადამე, ნაკლები ენერგიის მომტანი არიან.

ჩვენამდე ჯერ კიდევ არ მოუწევია. აი რატომ არის, რომ ღამის ცა შავია და ვარსკვლავებისაგან დაშორებით ელექტრომაგნიტური ენერგია დიდი არ არის.

მეცნიერებს აინტერესებს აგრეთვე საკითხი, თვითეული სახის (ესე იგი რხევათა გარკვეული სიხშირის) მქონე) რამდენი ელექტრომაგნიტური გამოსხივებაა გალაქტიკათშორის სივრცეში. უზარმაზარი გალაქტიკათშორისი სივრცეები ცარიელი ხომ არ არის. იქ მძიმრაობენ გაზის ცალკეული ატომები და მოლეკულები, ცასეები. ყოველი შესაძლო მიმართულებით ჰკვეთენ მათ სწრაფად მიმფრინავი, ვარსკვლავთაშორის მაგნიტურ არეებში დაჭერილი ნაწილაკები კოსმოსური სხივებისა, ბოლოს. ამ სივრცეებს ჰკვეთენ შუქი, რადიოტალღები და ელექტრომაგნიტური გამოსხივების სხვა სახეობანი. სწორედ ამ გამოსხივებაზეა დამოკიდებული პროცესები, რომლებიც იქ შეიძლება ხდებოდეს. გარდა ამისა, გალაქტიკათშორისი ელექტრომაგნიტური გამოსხივების რაოდენობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებიან დროთა განმავლობაში ცალკეული გალაქტიკები, როგორია მათი რაოდენობა და როგორ მოძრაობენ ისინი.

საბჭოთა კავშირის მეცნიერთა უკანასკნელმა გაანგარიშებამ ცხადყო, რომ მრავალი ენერგიის რაოდენობა კვლავ მატულობს. ეს იმით აიხსნება, რომ რადიოტალღებს შორეულ გალაქტიკებში წარმოშობენ კოსმოსური სხივები — დამუხტული ნაწილაკები, რომლებიც ვარსკვლავთაშორის მაგნიტურ არეებში მოძრაობენ.

კიდევ რა გვიჩვენა გაანგარიშებამ?

გალაქტიკათშორის სივრცეებში ნივთიერების ცასეებია. მათ გალაქტიკების შუქი რომ არ ანათებდეს, ამბოლუტური ნულთან მიახლოებული ტემპერატურა ექნებოდათ (მინუს 273 გრადუსი ცელსიუსით). მაგრამ შუქი ათობობს ცასეებს აბსოლუტური სკალის ათ გრადუს ტემპერატურამდე (მინუს 263 გრადუსი ცელსიუსის სკალით). ასეთ ტემპერატურამდე გამთბარი ცასეები თვალისთვის უხილავ შუქს გამასხივებენ. ამ გამოსხივებით შესაძლებელი ხდება განსაზღვრა გალაქტიკათშორისი მტვრის რაოდენობისა, რომლის სხვა სამუალებით დანახვა მეტად ძნელია.

მიღებული თეორიული გაანგარიშებისა და დაკვირვების შედარება ასტრონომებს დაეხმარება სამყაროს ჩვენთვის ცნობილი ნაწილის წარმოშობისა და ევოლუციის უაღრესად საინტერესო საკითხების გადაჭრაში.

ი. ნოვიკოვი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისი—რეიკიავიკი

ჰარიშზალი საჭადრაკო დაფაზე

მკაცრი ზამთარი ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკსაც ეწვია. ყინვები, სუსხიანი და გამთოშავი ქარი პირდაპირ ძვალ-რბილში ატანს. მაგრამ ბუნების ამ სიმკაცრეს ყველაზე ნაკლებად აქაური მოჭადრაკეები, აგრეთვე სტუმრად ჩასული გროსმაისტერები და ოსტატები გრძნობენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათ ნამდვილად „სცხელათ".

და რაც უფრო უფლებამოსილი ხდება ტურნირი, მით უფრო მწვავდება ბრძოლა. საზრუნავი თითქმის ყველას აქვს — პაექრობის ორგანიზატორებს, ლიდერებს, აუტსაიდერებს, მაგრამ მათ შორის ყველაზე მშვიდად მაინც ტალი გრძნობს თავს. ისლანდიელები ყველაზე მეტად იმით არიან „ეგანაწყენებულნი", რომ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა საბჭოთა გროსმაისტერისათვის თუნდაც ნახევარი ქულის „წაგლეჯა". ამიტომ, ბუნებრივია, ისინი განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ მეოთხე ტურს, სადაც ტალს ბრძოლა ექნებოდა იუგოსლავიის მრავალჯერადი ჩემპიონ გროსმაისტერ გლიგორიჩთან.

ამ ტურის შედეგებს მხოლოდ მეორე დილით მოველოდით, მაგრამ მოულოდნელად ნონა იმავე ღამით დაგვიკავშირდა ტელეფონით, რადგან ტური დღისით ჩატარებულა.

ტალმა და გლიგორიჩმა დებიუტი მშვიდად გაითამაშეს. თითქოს არ იყო მოსაოლოდნელი გართულებები, და მეტოქეები ყაიმისაკენ ისწრაფოდნენ. მაგრამ ტალი აბარის ტალია, თუ რაიმე მსხვერპლი არ გაიღო და მოუოლოდნელი სიურპრიზის წინაშე არ დააყენა მეტოქე. აქაც მას „სულმა წასძღია", მოუოლოდნელად საჭადრაკო დაფაზე ერობამაშად ქარიშხალი ამოვარდა... გლიგორიჩმა ხელი აიღო ბრძოლაზე და მეტოქეს გამარჯვება მიუოლოცა.

ამავე ტურში ოლაფსონმა დაამარცხა ასმუნდსონი, ტრისტონსონმა — პალმარინი, იოჰანსონმა — ტორბერგსონი. გუნდუფსონ-სოლმუნდარსონი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები, მათ შორის ჩემი და ნორვეგიელ ოსტატ იოჰანსენის შეხვედრა გადაიდო.

ჩემსა და იოჰანსენის შეხვედრაში გათამაშდა სიცილიური პარტია. გადადებული პოზიცია დაახლოებით თანაბარია, მაქვს ყაიმის შანსები, 42-ე სვლა ჩავიწერე მე.

წინა ტურის გადადებული პარტიებიდან ვეიდი და ტრისტონსონი ყაიმზე შეთანხმდნენ.

* * *

გასულ კვირადღეს ჩვენ კვლავ დავუკავშირდით გაფრინდაშვილს რეიკიავიკში, იგი ეელოდებოდა ჩვენს ზარს სასტუმროში. ეს არის დამთავრდა ტური, — გვეკითხებოდნენ.

მინდა დავიწყო ტრისტონსონისა და ტალის პარტიით, რადგან იგი არა მარტო ამ ტურის, არამედ ტურნირის ნამდვილი ფეიერვერკი იყო. ისლანდიელმა მაყურებლებმა თავი ვერ შეიკავეს, ურთიერთშიდ მოწყდა ტაში დარბაზს, ტალს მეტად ლამაზ და ეფექტურ გამარჯვებას ულოცავდნენ.

ოსტატიც არის და ოსტატიც. მაგალითად, ჰასტინგსში მე შედარებით ადვილად გავიარე დისტანცია. როგორც ხედავთ, აქ მიმძიმს ქულების მოპოვება. ეს იმას ნიშნავს, რომ ისლანდიელ ოსტატებს დიდი სატურნირო გამოცდილება აქვთ და კარგად ერკვევიან თანამედროვეს საჭადრაკო ტაქტიკაში. ჩემი დღევანდელი მოწინააღმდეგე იოჰანსონი გროსმაისტერ ოლაფსონის შემდეგ ამ ქვეყნის უძლიერეს ოსტატად თვლიდა. იერიშის მიღების მიზნით ისლანდიელს პაიკი შევწირე, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოუცია. მალე მეტოქემ პაიკი დამბრუნა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ ენდშპილი დაახლოებით თანაბარი პოზიცია შეიქმნა და იოჰანსონის წინადადებით 37-ე სვლაზე ყაიმზე შევთანხმდით.

გლიგორიჩმა დამამარცხა გუნდუფსონი, სოლმუნდარსონმა — ტორბერგსონი. ვეიდ-პალმარინი ყაიმზე შეთანხმდნენ. იოჰანსენ - ოლაფსონის პარტია ისლანდიელ გროსმაისტერის ავადმყოფობის გამო არ შედგარა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ჩვენ წინაშეა სატურნირო ცხრილი. პირველ რიგში თვალში გვხვდება ტალის შედეგები. სუფთა გამარჯვება ზედიზედ არც თუ ხშირი შემთხვევაა. ოლაფსონს 3,5 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია აქვს, გლიგორიჩს — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია, მე 2 ქულა და 1 გადადებული პარტია მაქვს.

ა. ანტსონი — ვარეკის ჩემპიონი

ოსლო, 19 იანვარი. (საკადრო). საბჭოთა მოცეკვავე ანტს ანტსონმა მოიპოვა 1964 წლის ევროპის ჩემპიონის წოდება. მან დააგროვა ყველაზე მეტი ქულა მრავალჯერადი — 180,842, რაც რეკორდია კონტინენტის ჩემპიონატებში. მეორე ადგილიც საბჭოთა სპორტსმენმა ი. იუბაშევმა დაიკავა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გეგეჭკორის რაიონის დაბა აბაშა გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო აბაშის სადაბო საბჭო — აბაშის საქალაქო საბჭოდ.

გაუქმდა ნოღაბაშის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები ნოღაბაში და კაპანა მათი ქალაქ ფბაშასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

წალენჯიხის რაიონის დაბა წალენჯიხა გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად. ხოლო წალენჯიხის სადაბო საბჭო — წალენჯიხის საქალაქო საბჭოდ.

(საკადრო).

სპორტული ქრონიკა

△ სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა გასულ კვირადღეს ბელსინკში მოიგო მეორე შეხვედრა მატჩი ფინეთის გუნდთან 25 : 14 (12 : 9) და მსოფლიო პირველობის დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

△ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხა ბერლინის ტაკა 66 : 38 და ნახევარფინალში გავიდა.

წარმატებითი სტარტი

მეხიკო, 20 იანვარი. (საკადრო). საბჭოთა ფეხბურთელებმა ტურნირი მეხიკოში გამარჯვებით დაიწყეს. მათ დააჯმარცხეს მექსიკის გუნდი „ამერიკა" — მექსიკის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ანგარიშით 5 : 0 (2 : 0).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.



КОМУНИСТИ
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67 ბ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 8-20-48, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის უცხოეთის — 8-22-69, ხოფლის მეურნეობის—8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲣᲐ 00723

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛ